186
1985

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 6

ნოემბერი— დეკემბერი

1985 წ.

18143

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 6 ნოემბერი—დეკემბერი 1985 წ.

შინაარსი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

65. საქართველოს სსრ აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის შემდგომი სრულყოფის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

66. საქართველოს სსრ მრეწველობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში სამუშაო ადგილების ატესტაციისა და რაციონალიზაციის ფართოდ განხორციელების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

67. მომუშავე პენსიონერთათვის პენსიების მიცემის მოქმედი წესის 1986 წელს გაგრძელების შესახებ
68. სსრ კავშირის სახალხო არტისტის დ. ა. ალექსიძის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ
69. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ნ. ა. ლანდიას ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ
70. სსრ კავშირის სახალხო არტისტის ი. ი. სუხიშვილის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

საქ. სსრ კ. ბიბლიოთეკა სახ. სახ. რესპ.

№/6
ეროვნული ბიბლიოთეკა

71. საქართველოს სსრ ქალაქებში ყოველგვარი მიწისზედა შინასაქალაქო სამგზავრო ტრანსპორტით მგზავრობის ერთიანი ტარიფის შემოღების შესახებ

72. საქართველოს სსრ სახმშენის სახელმწიფო სამშენებლო ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ

73. რესპუბლიკური (საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ) და ადგილობრივი დაქვემდებარების სახელმწიფო საწარმოების დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და სხვა ობიექტებისათვის სახელის დარქმევისა და გადარქმევის წესის დებულების დამტკიცების შესახებ.

74. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ძირითადი ფონდების საამორტიზაციო ანარიცხების ახალი ნორმების შემუშავების შესახებ

75. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან სახელმწიფო არბიტრაჟის შექმნის შესახებ

76. საქართველოს სსრ სახელმწიფო კოოპერატიული ვაჭრობის სავაჭრო საწარმოებში ნისიად გასაყიდი ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის ნუსხაში დამატების შეტანის შესახებ

77. საქართველოს სსრ კანონთა წიგნის II კარის — „კანონმდებლობა სოციალური განვითარებისა და კულტურის შესახებ. მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებანი“ მომზადებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

78. მუშა, მოსამსახურე და კოლმეურნე ინვალიდებისათვის, აგრეთვე ბავშვობიდან ინვალიდებისათვის მიცემული მოტოეტლების კაპიტალური რემონტის ჩატარების წესის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

65 საქართველოს სსრ აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის შემდგომი სრულყოფის შესახებ

ხელმძღვანელობენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის მითითებებით აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის შემდგომი სრულყოფის, ყველა დონეზე მისი, როგორც ერთიანი მთელის, დაგეგმვის, დაფინანსებისა და მართვის უზრუნველყოფის აუცილებლობის თაობაზე, „აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის შემდგომი სრულყოფის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 14 ნოემბრის № 1114 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. შეიქმნას საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტი (საქართველოს სსრ სახაგრომრეწვი) საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის ბაზაზე, ამასთან შესაბამისად გაუქმდნენ ისინი, და საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს იმ ქვედანაყოფების ბაზაზე, რომლებიც წინათ შეადგენდნენ საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს.

დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტი არის რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის სახელმწიფოებრივი მართვის ცენტრალური ორგანო და აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების (ქალაქების) სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებთან ერთად ეკისრება მთელი პასუხისმგებლობა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდისათვის, მისი შესყიდვის გეგმების შესრულებისა და სრული დაცვა-შენახვის უზრუნველყოფისათვის, სასურსათო საქონლის ხარისხიანი გადამუშავებისა და ასორტიმენტის მნიშვნელოვანი გაფართოებისათვის.

ამ მიზნით კომიტეტს ენიჭება შესაბამისი უფლებები და რწმუნებანი აგროსამრეწველო კომპლექსის დაგეგმვის, დაფინანსებისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფის დარგში. საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის მიერ მისი კომპეტენციის ფარგლებში მიღებული დადგენილებანი სავალდებულოა შეასრულონ რესპუბლიკის ყველა სამინისტრომ და უწყებამ, აგრეთვე დაწესებულებებმა, გაერთიანებებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა.

საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტი თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანე-

ლობით, ხოლო აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აგროსამრეწველო კომიტეტები, რაიონული (საქალაქო) აგროსამრეწველო გაერთიანებები — შესაბამისად აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების (ქალაქების) სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების ხელმძღვანელობით.

2. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების (ქალაქების) სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტს უზრუნველყონ:

— კონკრეტულ თავისებურებათა გათვალისწინებით აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აგროსამრეწველო კომიტეტების (აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის აგრომრეწვების) შექმნა;

— რაიონულ (საქალაქო) აგროსამრეწველო გაერთიანებათა შესაბამისი გარდაქმნა, ამასთან გაითვალისწინონ მათი, როგორც აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალი მეურნეობების, ორგანიზაციებისა და საწარმოების ტერიტორიული მართვის ერთიანი ორგანოების, ორგანიზაციული განმტკიცება.

საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომმა განსაზღვრონ ის საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც უშუალოდ დაექვემდებარებიან რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებებს, საოლქო, რესპუბლიკურ (ასსრ) აგრომრეწვებსა და საქართველოს სსრ სახელმწიფო აგოსამრეწველო კომიტეტს.

3. გადაეცეს საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტს:

— საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროსაგან — სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვისა და ხარისხის ინსპექციები (პურის ინსპექციის გარდა). ამასთან დაკავშირებით გარდაიქმნას საქართველოს სსრ დამზადების სამინისტრო საქართველოს სსრ პურპროდუქტების სამინისტროდ და დაექვემდებაროს მას საქართველოს სსრ კვების მრეწველობის გაუქმებული სამინისტროსაგან პურსაცხობი და მაკარონის მრეწველობის საწარმოები და ორგანიზაციები და მმართველობის აპარატის შესაბამისი რიცხოვნობა;

— საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსაგან — მატყლის პირველადი გადამუშავების საწარმოები და მმართველობის აპარატის შესაბამისი რიცხოვნობა.

4. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 14 ნოემბრის № 1114 დადგენილების შესაბამისად ეთხოვოს სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს გადასცეს საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტს საქართველოს სსრ სამელიორაციო მშენებლობის მთავარი სამმართველოსაგან (საქმთავარწყალმშენი) პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების ექსპერტიზის, კაპიტალურ დაბანდებათა და სამელიორაციო სამუშაოთა დაფინანსების ლიმიტების განსაზღვრის, აშენებული ობიექტების მიღების ფუნქციები და ამ ფუნქციების განმახორ-

ციელებელ მუშაკთა შესაბამისი რიცხოვნობა. საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტმა რესპუბლიკური კომიტეტის სტრუქტურის შესახებ წინადადებათა მომზადებისას გაითვალისწინოს სამელიორაციო სისტემების ექსპლუატაციისა და სასოფლო-სამეურნეო წყალმომარაგების სამსახურებისათვის სამელიორაციო მშენებლობის ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენების აუცილებლობა, ამასთან წინასწარ შეუთანხმოს შესაბამისი საკითხები სსრ კავშირის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტს და სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს.

5. საქართველოს სსრ პურპროდუქტების სამინისტრომ, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ ორი კვირის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი სამინისტროთა და მათთან არსებულ ორგანიზაციათა ცენტრალური აპარატის სტრუქტურისა და შტატების შესახებ, აგრეთვე საქართველოს სსრ პურპროდუქტების სამინისტროს დებულების პროექტი და საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს დაზუსტებულ დებულებათა პროექტები.

6. საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტი, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აგროსამრეწველო კომიტეტები, რაიონული (საქალაქო) აგროსამრეწველო გაერთიანებანი, მათი საქვეუწყებო საბჭოთა მეურნეობები, საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, აგრეთვე კოლმეურნეობები ქმნიან საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის ერთიან სისტემას.

დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის საწარმოებთან და ორგანიზაციებთან ერთად რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემაში შედიან საქართველოს სსრ პურპროდუქტების სამინისტრო, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს სსრ სამელიორაციო მშენებლობის მთავარი სამმართველო, რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქთევზმრეწვი“, რომლებიც იგეგმება და ფინანსდება როგორც ერთიანი მთელი, აგრეთვე საქართველოს სსრ მომხმარებელთა საზოგადოებების კავშირი (ცეკავშირი) მისი წესდებით გათვალისწინებული ფუნქციებისა და უფლებების შენარჩუნებით.

სსრ კავშირის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის, სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს, მეცხოველეობისა და საკვებწარმოების მანქანათმშენებლობის სამინისტროს, მსუბუქი და კვების მრეწველობის და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოთა მანქანათმშენებლობის სამინისტროს, მინერალური სასუქების წარმოების სამინისტროს, სამედიცინო და მიკრობიოლოგიური მრეწველობის სამინისტროს გაერთიანებანი, საწარმოები და დაწესებულებანი, რომლებიც განლაგებულია საქართველოს სსრ ტერიტორიაზე და აწარმოებენ რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსისათვის წარმოების საშუალებებსა და სხვა რესურსებს, თავიანთ მუშაობას უთანხმებენ საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტს.

7. საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტს სათავეში უდგას თავმჯდომარე, რომელიც ამავე დროს არის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე. კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეთა შემადგენლობა განისაზღვროს 12 კაცის რაოდენობით, მათ შორის ორი პირველი მოადგილე — საქართველოს სსრ მინისტრი.

8. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის წევრები, თავმჯდომარისა და მისი მოადგილეების გარდა, არიან საქართველოს სსრ პურპროდუქტების მინისტრი, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრი, საქართველოს სსრ სამელიორაციო მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსი, რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქთეევზმრეწვის“ უფროსი, საქართველოს სსრ მომხმარებელთა საზოგადოებების კავშირის (ცეკავშირის) გამგეობის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე, საქართველოს სსრ სახმომარაგების თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მმართველის მოადგილე, საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსის მოადგილე, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის აგრომრეწვების თავმჯდომარეები, მეცნიერები, სსრ კავშირის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის, სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს, მეცხოველეობისა და საკვებწარმოების მანქანათმშენებლობის სამინისტროს, მსუბუქი და კვების მრეწველობის და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოთა მანქანათმშენებლობის სამინისტროს. მინერალური სასუქების წარმოების სამინისტროს, სამედიცინო და მიკრობიოლოგიური მრეწველობის სამინისტროს იმ მსხვილ გაერთიანებათა და საწარმოთა ხელმძღვანელები, რომლებიც განლაგებულია რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

კომიტეტი განიხილავს რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების დიდ პრობლემებს. მისი სხდომები ტარდება საჭიროების კვალობაზე, მაგრამ წელიწადში ორჯერ მაინც.

საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის სისტემაში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობის საკითხების გადასაწყვეტად შეიქმნას კოლეგია 21 კაცის შემადგენლობით.

საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტისა და მისი კოლეგიის წევრთა პერსონალურ შემადგენლობას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

9. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის აგრომრეწვების, რაიონულ (საქალაქო) აგროსამრეწველო გაერთიანებათა მმართველობის აპარატები იქმნება ამ დადგენილების შესაბამისად გაუქმებული სამინისტროების, უწყებებისა და მათი საქვეუწყებო ორგანიზაციების მმართველობის ორგანოთა საერთო რიცხოვნობის ხარჯზე. საქართველოს სსრ სახელმწიფო

აგროსამრეწველო კომიტეტისა და მასთან არსებული ორგანიზაციების ცენტრალური აპარატის ზღვრულ რიცხოვნობას და ხელფასის ფონდს ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. საშტატო განრიგს ამტკიცებს საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარე.

10. საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარემ ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და წარმოუდგინოს საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს:

— საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის დებულების პროექტი;

— წინადადებანი საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტისა და მასთან არსებული ორგანიზაციების ცენტრალური აპარატის სტრუქტურის, მუშაკთა ზღვრული რიცხოვნობის, შრომის ანაზღაურების ფონდისა და პირობების შესახებ, ამასთან გაითვალისწინოს მუშაკთა რიცხოვნობისა და მათი შენახვის ხარჯების შემცირება გაუქმებული სამინისტროებისა და უწყებების მიხედვით მუშაკთა რიცხოვნობასთან და ხარჯებთან შედარებით.

11. შეიქმნას საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტში მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ერთიანი სისტემა გაუქმებული სამინისტროებისა და უწყებების შესაბამის ქვედანაყოფთა ბაზაზე. შეუნარჩუნდეს საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვა დარგების უზრუნველყოფის ფუნქციები, რომლებსაც წინათ ახორციელებდა საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტი.

12. დაეკისროს ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის განყოფილებას რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსში გამოკვლევათა მეცნიერული უზრუნველყოფისა და კოორდინაციის ფუნქციები.

დაწესდეს, რომ ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის განყოფილების პრეზიდიუმის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის სამეცნიერო-ტექნიკურ საბჭოს.

13. დაწესდეს, რომ რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსი, რომელსაც საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტი წარმოადგენს, იგეგმება როგორც ერთიანი მთელი. საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტი განსაზღვრავს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მონაწილეობით აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონების (ქალაქების) აგროსამრეწველო კომპლექსების განვითარებას, შეიმუშავებს შესაბამის მაჩვენებლებს ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რაიონების (ქალაქების), რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემაში შემავალი საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების, აგრეთვე უშუალოდ დაქვემდებარებული გაერთიანებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების მიხედვით და უზრუნველყოფს მათ საჭირო რესურსებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ მოწონებული რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების საკონტროლო ციფრები დადგენილი წესით ეგზავნებათ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომს, რაიონების (რომლებიც ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის შემადგენლობაში არ შედიან) აგროსამრეწველო გაერთიანებებს ერთიან სტრიქონად დარგების მიხედვით დაყოფის გარეშე და საქართველოს სსრ შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს, რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებსა და ორგანიზაციებს.

ამის შესაბამისად აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომი განსაზღვრავენ ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქში შემავალი რაიონებისათვის, აგრეთვე უშუალოდ ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის აგრომრეწვებისადმი დაქვემდებარებული საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის საკონტროლო ციფრების დაგზავნის წესს.

რაიონული (საქალაქო) აგროსამრეწველო გაერთიანებები დაუგზავნიან განვითარების საკონტროლო ციფრებს რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ საწარმოებს, ორგანიზაციებს.

საკონტროლო ციფრების საფუძველზე ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმები შემუშავდება ქვემოდან — კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების (ქალაქების) სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები საკონტროლო ციფრების საფუძველზე შეიმუშავებენ ეკონომიკური და სოციალური განვითარების რეგიონალურ გეგმებს, წარუდგენენ სრული მოცულობით ტერიტორიის მიხედვით კრებსით გეგმას საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს. ხოლო გეგმის აგროსამრეწველო კომპლექსის განაყოფს — საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტს.

ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რაიონების (ქალაქების), აგრეთვე საქართველოს სსრ შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების წინადადებათა საფუძველზე საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტი შეადგენს საქართველოს სსრ აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემაში ეკონომიკური და სოციალური განვითარების წლიური და ხუთწლიანი გეგმების პროექტებს და დაწესებულ ვადებში წარუდგენს მათ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს.

საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტი მისთვის გამოყოფილ მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ფონდებს უნაწილებს ავტონომიურ რესპუბლიკებს, ავტონომიურ ოლქს, რაიონებს (ქალაქებს), რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის შემადგენლობაში შემავალ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, და ორგანიზაციას უწევს მათს რეალიზაციას. კომიტეტს თავის განკარგულებაში აქვს გაუთვალისწინებელ სამუშაო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა ოპერატიული შესრულების ორგანიზაციისათვის საჭირო მატერიალური და ფინანსური რეზერვები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრული ოდენობით.

14. იმის გათვალისწინებით, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 14 ნოემბრის № 1114 დადგენილებით მიზანშეწონილად ჩაითვალა აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალი ყველა გაერთიანების, საწარმოსა და ორგანიზაციის დაფინანსებისა და დაკრედიტების თავმოყრა სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის სისტემაში, დაევალოთ სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორებს ამ ამოცანის შესასრულებლად გადაწყვიტონ შესაბამისი საკითხები, ამასთან წინასწარ შეუთანხმონ ისინი სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკსა და სსრ კავშირის მშენბანკს.

15. აგროსამრეწველო კომპლექსის დარგების დაგეგმვის, დაფინანსებისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების წესის ცვლილებებთან დაკავშირებით დაევალოთ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, საქართველოს სსრ სახმომარაგებას, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორას, საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს განახორციელონ აპარატის სტრუქტურის გარდაქმნა, ამასთან გაითვალისწინონ რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად ერთიანი ქვედანაყოფების შექმნა.

16. აგროსამრეწველო კომპლექსში კაპიტალური მშენებლობის გაუმჯობესების, სამშენებლო ინდუსტრიის შექმნილი ბაზის ეფექტიანი გამოყენებისა და მშენებლობაში პარალელური რგოლების აღმოფხვრის მიზნით საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტმა განიხილოს საკითხი იმის შესახებ, რომ რესპუბლიკური გაერთიანება „საქკოლმეურნმშენის“ და სახელმწიფო სამშენებლო ქვედანაყოფების ბაზაზე შეიქმნას კოოპერაციულ-სახელმწიფო ან სახელმწიფო-კოოპერაციული გაერთიანებანი.

17. საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა განახორციელონ აგროსამრეწველო კომპლექსის რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო და რაიონული ორგანოების სპეციალისტთა შორის სათანადო მუშაობა იმ მიზნით, რომ შეარჩიონ და გაგზავნონ ისინი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და საწარმოების კვალიფიციური კადრებით განსამტკიცებლად.

18. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 14 ნოემბრის № 1114 დადგენილებით დაწესდა, რომ:

— მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტები, ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების აგროსამრეწველო კომიტეტები უზრუნველყოფენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და შესყიდვის და საერთო-საკავშირო ფონდში მათი მიწოდების

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეგმების შესრულებას, მათი გადამუშავებისა და შენახვისათვის ყველა საწარმოს ურთიერთდაკავშირებულ საქმიანობას. ისინი მთლიანად აგებენ პასუხს ადგილებზე კვების პროდუქტების წარმოების გადიდებისა და ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესების არსებულ შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოყენებისათვის. თავიანთი საქმიანობა კომიტეტებმა უმთავრესად უნდა წარმართონ შემდეგი პრობლემების გადასაჭრელად:

— მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მეცნიერულად დასაბუთებული სისტემების ათვისება, მატერიალურ-ტექნიკური, ფინანსური და შრომითი რესურსების ეფექტიანი გამოყენება;

— აგროსამრეწველო კომპლექსის ტერიტორიული სტრუქტურის, წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის განვითარების სრულყოფა;

— მეურნეობის გაძღოლის ეკონომიკური პირობების გათანაბრება კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემის სხვა საწარმოებში;

— საწარმოთა და ორგანიზაციათა დამხმარე მეურნეობების, მოქალაქეთა პირადი დამხმარე მეურნეობების, კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის, როგორც სასურსათო კომპლექსის შემადგენელი ნაწილების, შემდგომი განვითარება;

— სოფლის სოციალური გარდაქმნის, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სამშენებლო ორგანიზაციებსა და გადამმუშავებელ საწარმოებში სტაბილური შრომითი კოლექტივების შექმნის, საშუალო რგოლისა და მასობრივი პროფესიების კადრების მომზადებისა და გადამზადების ღონისძიებათა განხორციელება.

დაწესდა აგრეთვე, რომ მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტები და ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების აგროსამრეწველო კომიტეტები უშუალოდ აგებენ პასუხს საქვეუწყებო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებების საქმიანობის გაუმჯობესებისათვის, კონკრეტული პირობების შესაბამისად აგროსამრეწველო წარმოების განვითარებაზე მათი გავლენის გაძლიერებისათვის, მეთესლეობის გაძღოლისათვის, დროული ჯიშთმონაცვლეობისა და ჯიშთგანახლებისათვის, მეცხოველეობის ვეტმომსახურებისათვის, სანაშენე სადგურებისა და ხელოვნური დათესვლის სადგურების მუშაობისათვის, პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის ხარისხობრივი სრულყოფისა და ჯოგის კვლავწარმოების გაუმჯობესებისათვის;

— რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების, როგორც აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის სისტემის პირველადი რგოლების, ყურადღება უნდა დაეთმოს, უწინარეს ყოვლისა, დაწესებული ასორტიმენტით პროდუქციის მისაწოდებლად სახელმწიფო შეკვეთების უცილობლივ შესრულებას, ამისათვის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, გადამმუშავებელი, სარემონტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების ეფექტიანი საქმიანობის ოპტიმალური პირობების შექმნას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებანი მოწოდებული არიან ყოველნაირად განავითარონ შრომითი კოლექტივების სამეურნეო ინიციატივა მართვაში ეკონომიკური ბერკეტების გამოყენების, შრომის საბოლოო შედეგებით ყველა მომუშავის მატერიალური დაინტერესების მნიშვნელოვანი გაძლიერების, ყველა საწარმოო რგოლში კოლექტიური იჯარისა და სამეურნეო ანგარიშის ფართოდ დანერგვის, დაფინანსებისა და დაკრედიტების გაუმჯობესების საფუძველზე;

— რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებათა ხელმძღვანელებმა და სპეციალისტებმა განსაკუთრებით უნდა იზრუნონ ერთიანი საინჟინრო სამსახურის მუშაობის ორგანიზაციისათვის, მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმოების უზრუნველყოფის, პროდუქციის დამზადებისა და გასაღების ორგანიზაციის, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გადამუშავებისა და შენახვის ბაზის განვითარების, აგროქიმიური, საწარმოო-ტექნიკური და სატრანსპორტო მომსახურების, კაპიტალური მშენებლობის შემდგომი სრულყოფის საკითხთა დროულად გადაწყვეტისათვის;

— რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებათა უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა ეფექტიანად გამოიყენონ შექმნილი საწარმოო პოტენციალი, გააუმჯობესონ ნიადაგების ნაყოფიერება, გაადიდონ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და პირუტყვის პროდუქტიულობა, უზრუნველყონ შრომის ნაყოფიერების ზრდა, პროდუქციის ერთეულზე დანახარჯების შემცირება, დაბანდებული სახსრების ანაზღაურების დაჩქარება და წარმოების რენტაბელობის ამაღლება;

— მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტების, ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების აგროსამრეწველო კომიტეტების, რაიონული და საოკრუგო აგროსამრეწველო გაერთიანებების თავმჯდომარეებს უფლება მიეცათ:

— დაუწესონ მმართველობის ამ ორგანოთა მაღალკვალიფიციურ მუშაკებს დანამატები მათი თანამდებობრივი სარგოს 50 პროცენტამდე ოდენობით ხელფასის ფონდის ეკონომიის ხარჯზე, რაც მიღებულია აღნიშნული ორგანოების მუშაკთა რიცხოვნობის შემცირების შედეგად. ეს დანამატები უქმდება ან მცირდება შრომის ხარისხის გაუარესების, დავალებათა არადროული შესრულების, შრომისა და საწარმოო დისციპლინის დარღვევის შემთხვევაში;

— დადგენილი წესით დაამტკიცონ მმართველობის აღნიშნული ორგანოების საშტატო განრიგები ამ ორგანოების მუშაკთა ხელფასის ფონდისა და რიცხოვნობის ფარგლებში სპეციალისტთა მოქმედი თანაფარდობის დაუცველად;

— შეუნარჩუნონ მიმდინარე რეორგანიზაციასთან დაკავშირებით განთავისუფლებულ მუშაკებს ფულადი სარგოები, რომლებსაც ისინი იღებდნენ წინანდელ სამუშაო ადგილზე, მათი შრომითი მოწყობის პერიოდისათვის, მაგრამ არა უმეტეს სამი თვისა, აგრეთვე შეუნარჩუნონ მათ მუშაობის უწყვეტი სტაჟი.

შეუნარჩუნდეთ გაუქმებული სამინისტროებიდან და უწყებებიდან და მათი ადგილობრივი მმართველობის ორგანოებიდან მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტების, ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქების აგროსამრეწველო კომიტეტების, რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების აპარატში გადაყვანილ მუშაკებს წინანდელ სამუშაო ადგილზე მოქმედი თანამდებობრივი სარგოები (თუ ისინი ნაკლებია ახალ სამუშაო ადგილზე) და მატერიალურ-საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფისა და სამედიცინო მომსახურების პირობები ახალ თანამდებობაზე მუშაობის პერიოდისათვის.

გავრცელდეს კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სხვა სახელმწიფო და სამეურნეობათაშორისო სასოფლო-სამეურნეო და გადამმუშავებელ საწარმოებში და სასოფლო სამშენებლო ორგანიზაციებში აღნიშნულ საწარმოთა ხელმძღვანელებად და სპეციალისტებად და წარმოების საშუალო რგოლის ქვედანაყოფთა ხელმძღვანელებად სამუშაოდ გადასულ პირებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 24 მაისის № 438 დადგენილების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შეღავათები სხვა ადგილას სამუშაოდ გადასვლის დროს ახალ სამუშაო ადგილზე ერთდროული დახმარების მიცემის ნაწილში.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ყურადღება მიაპყრეს იმას, რომ დაუშვებელია წვრილმანი მეურვეობა და ადმინისტრირება, სამეურნეო ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა მაგივრობის გაწევა. რესპუბლიკის პარტიული კომიტეტების, საბჭოთა ორგანოებისა და აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის ყველა რგოლის ყურადღების ცენტრში უნდა იყოს ზრუნვა კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და საწარმოების ხელმძღვანელი კადრების სტაბილურობისათვის, მათი შემოქმედებითი საქმიანობის, მინდობილი საქმისადმი მაღალი პასუხისმგებლობის აღზრდის ხელშემწყობი პირობების შექმნისათვის.

19. საიდუმლო.

* * *

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ რესპუბლიკის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა საწარმოსა და ორგანიზაციის შრომითი კოლექტივები არ დაიშურებენ ძალასა და ენერგიას, ცოდნასა და გამოცდილებას იმისათვის, რათა უზრუნველყონ შექმნილი ეკონომიკური პოტენციალის, აგროსამრეწველო კომპლექსისათვის გამოყოფილი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ეფექტიანი გამოყენება საწარმოებსა და ორგანიზაციებში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დაჩქარებული დანერგვის საფუძველზე და ამით ღირსეულ წვლილს შეიტანენ ჩვენი

ქვეყნის მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის დასახული ამოცანების გადაწყვეტის საქმეში.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ჯ. პატიაშვილი**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი**

ქ. თბილისი, 1985 წ. 10 დეკემბერი, № 808.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

66 საქართველოს სსრ მრეწველობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების სამუშაო ადგილების ატესტაციისა და რაციონალიზაციის ფართოდ განხორციელების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო აღნიშნავენ, რომ რესპუბლიკის, აგრეთვე საკავშირო დაქვემდებარების დარგების ბევრ სამრეწველო საწარმოსა და საწარმოო გაერთიანებაში ხორციელდება გარკვეული ღონისძიებანი სამუშაო ადგილების კომპლექსური ატესტაციისა და რაციონალიზაციისათვის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნების გათვალისწინებით.

ყველაზე აქტიურად მიმდინარეობს ეს მუშაობა საწარმოო გაერთიანებებში „ჩარხმშენებელში", „ელექტროაპარატში", „ელმავალმშენებელში", საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს თბილისის საშენ მასალათა კომბინატში, ქარხნებში „სოხუმხელსაწყოსა" და „თბილხელსაწყოში", სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ანალიზხელსაწყოში", საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს თბილისის ავეჯის საწარმოო გაერთიანება „განთიადში", საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს გორის ბამბეულის საწარმოო გაერთიანებაში.

ამასთანავე მთელ რიგ დარგებსა და ზოგიერთ საწარმოში სამუშაო ადგილები ატესტაციისა და რაციონალიზაციისათვის მუშაობის მასშტაბი და ტემპი ჯერ კიდევ არასაკმარისია. ასე, მაგალითად, საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტში, საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტსა და საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროში ატესტაცია გაიარა — შესაბამისად — ყველა სამუშაო ადგილის მხოლოდ 42,4, 47 და 47,9 პროცენტმა. ხშირია შემთხვევები, როცა

შრომითს კოლექტივებში უშვებენ ფორმალურ მიდგომას სამუშაო ადგილების ატესტაციის ჩატარებისადმი, პროგრესული ნორმატიული მოთხოვნების შესაბამისად მიიჩნევენ ატესტაციაგავლილ ყველა სამუშაო ადგილს, არ ავლენენ სამუშაო ადგილებს, რომლებიც არ შეესაბამებიან მოწინავე გამოცდილების მოთხოვნებს, თანამედროვე ტექნიკურ, ტექნოლოგიურ, ორგანიზაციულ გადაწყვეტილებებს, სტანდარტებს, სოციალურ ნორმატივებს და სხვ. ასე, მაგალითად, თბილისის ფოლად-თუჯსასხმელ ქარხანაში სამუშაო ადგილებს აფასებენ ვიზუალურად, ტიპობრივი პროექტების და სამუშაო ადგილების ატესტაციის მეთოდიკის გამოუყენებლად, ხოლო საატესტაციო კომისია არსებითად უმოქმედობს. ანალოგიური ნაკლოვანებებით ხასიათდება თბილისის მინის ქარხნის, ბათუმის ჩაის საწონი ფაბრიკის, თბილისის ქარხანა „ელექტროშედუღების", რუსთავის თუჯსასხმელი ქარხნის, ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის, ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნისა და სხვა საწარმოების მუშაობა.

ჯერ კიდევ არასაკმარისია მეთოდური ხელმძღვანელობა და კონტროლი ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების, დარგობრივ პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ცენტრების (ლაბორატორიების, სამსახურების) მხრივ. ბევრი საწარმო უზრუნველყოფილი არაა საჭირო ნორმატიული მასალებით (სახსტანდარტებით, დარგობრივი სტანდარტებით, შრომის ორგანიზაციის ტიპობრივი პროექტებით და ა. შ.). სამუშაო ადგილების ცალკეული ფაქტორების მიხედვით შეფასებაში ყოველთვის როდი მონაწილეობენ სპეციალისტები, ატესტაციის ჩატარება ძირითადად ეკისრებათ შრომისა და ხელფასის განყოფილებებს, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ინჟინრებს.

დიდ სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობას ანიჭებენ რა სახალხო მეურნეობის დარგებში სამუშაო ადგილების კომპლექსური ატესტაციისა და რაციონალიზაციის გეგმაზომიერ განვითარებას, და „მრეწველობასა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში სამუშაო ადგილების ატესტაციისა და რაციონალიზაციის ფართოდ განხორციელების შესახებ" სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1985 წლის 15 აგვისტოს № 783 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა:

— მიიღონ განუხრელ სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1985 წლის 15 აგვისტოს № 783 დადგენილება „მრეწველობასა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში სამუშაო ადგილების ატესტაციისა და რაციონალიზაციის ფართოდ განხორციელების შესახებ" (თან ერთვის);

— შესაბამის პროფკავშირულ ორგანოებთან ერთად მთლიანად უზრუნველყონ 1985-1986 წლებში სამუშაო ადგილების ატესტაციისა და რაციონალიზაციის დანერგვა და მისდამი სამეცნიერო-მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობა ყველა სამრეწველო საწარმოში, ხოლო 1986-1987 წლებში — მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებსა და ორგანიზაციებში.

2. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა:

— შექმნან სამუშაო ადგილების ატესტაციისა და რაციონალიზაციის განსახორციელებლად მუდმივმოქმედი კომისიები, დააკისრონ მათ ამ მუშაობის კოორდინაცია და მეთოდური ხელმძღვანელობა, კონტროლი მისი განხორციელებისადმი;

— საკავშირო ტიპობრივი დებულების დამტკიცების შემდეგ ორი თვის ვადაში შეიმუშაონ მის საფუძველზე და დაამტკიცონ შესაბამის პროფკავშირულ ორგანოებთან ერთად დარგობრივი დებულებანი სამუშაო ადგილების ატესტაციისა და რაციონალიზაციის შესახებ;

— მოაწყონ სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა მიერ სამუშაო ადგილების ატესტაციისა და რაციონალიზაციის საფუძვლების შესწავლა;

— გაითვალისწინონ ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებში სამუშაო ადგილების რაციონალიზაციისათვის მოწყობილობისა და მატერიალური რესურსების გამოყოფა საწარმოთა და ორგანიზაციათა საკუთარი სახსრების, აგრეთვე ბანკების კრედიტების ხარჯზე; ორგანიზაციული და ტექნოლოგიური აღჭურვილობის, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებების, სპეციალური მოწყობილობის დამამზადებელ სპეციალიზებულ წარმოებათა შექმნა საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებში სამუშაო ადგილების რაციონალიზაციის სამუშაოთა განსახორციელებლად;

— 1987 წლის 1 თებერვლამდე წარუდგინონ საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტს ინფორმაციები მრეწველობაში სამუშაო ადგილების ატესტაციისა და რაციონალიზაციის შედეგების შესახებ და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში ამ მუშაობის მიმდინარეობის შესახებ.

3. საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტმა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან ერთად და საქართველოს სსრ სახმომარაგების, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის და საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაწილეობით 1987 წლის პირველ კვარტალში განაზოგადოს რესპუბლიკის მრეწველობაში სამუშაო ადგილების ატესტაციისა და რაციონალიზაციის შედეგები და მოახსენოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

4. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა შრომის ადგილობრივ ორგანოებთან ერთად:

— გააძლიერონ კონტროლი შრომითს კოლექტივებში სამუშაო ადგილების ატესტაციისა და რაციონალიზაციის განხორციელებისადმი;

— მიიღონ ქმედითი ზომები სამუშაო ადგილების ატესტაციისა და რაციონალიზაციის განხორციელების შედეგად საწარმოებიდან განთავისუფლებულ პირთა შრომითი მოწყობისათვის, ამასთან უზრუნველყონ მათი დროული ხელახალი კვალიფიკაცია.

5. საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტმა, შრომის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალმა კოორდინაცია გაუწიონ, გააკონტროლონ და გააანალიზონ სამუშაო ადგილების ატესტაციისათვის მუშაობის მიმდინარეობა, სისტემატურად შეისწავლონ ადგილებზე კომისიების მუშაობა, აღმოუჩინონ საწარმოებს მეთოდური და პრაქტიკული დახმარება.

6. რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა სისტემატურად გააშუქონ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში სამუშაო ადგილების ატესტაციისა და რაციონალიზაციის განხორციელების დროს შეძენილი მოწინავე გამოცდილება, გამოავლინონ ამ დიდმნიშვნელოვან სახალხო-სამეურნეო საქმეში არსებული ნაკლოვანებანი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ო. ჩერქეზია**	საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე **თ. მოსაშვილი**

ქ. თბილისი, 1985 წ. 2 დეკემბერი, № 740

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭო

დადგენილება № 783

1985 წლის 15 აგვისტო

მრეწველობასა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში სამუშაო ადგილების ატესტაციისა და რაციონალიზაციის ფართოდ განხორციელების შესახებ

18143

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად წარმოების ინტენსიფიკაციის ამაღლებისა და საწარმოო პოტენციალის ეფექტიანი გამოყენებისათვის არსებული რეზერვების ამოქმედების მიზნით სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს, საავტომობილო მრეწველობის სამინისტროს ბევრ საწარმოში, აგრეთვე დნეპროპეტროვსკის, ლენინგრადის, კუიბიშევისა და სხვა ოლქების საწარმოებში ხორციელდება სისტემატური მუშაობა წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის სამუშაო ადგილების რეგულარული ატესტაციისა და რაციონალიზაციის საფუძველზე, რაც წარმოების მეცნიერულ-ტექნიკური დონის ამაღლების, მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიის, პროგრესული ორგანიზაციული გადაწყვეტილებების დანერგვის ძირითადი მიმართულებებისა და ეტაპების განსაზღვრის პროგრამების დიდმნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. ამ საქმეში დიდ წარმატებებს მიაღწია საწარმოო გაერთიანება „დნეპროპეტროვსკის კ. ე. ვოროშილოვის სახელობის კომბაინის ქარხნის“ კოლექტივმა, რომლის გამოცდილება მოიწონა სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა.

მაგრამ დნეპროპეტროვსკელ კომბაინმშენებელთა დადებითი გამოცდილება ჯერ კიდევ ნელა ვრცელდება სახალხო მეურნეობაში.

მრეწველობასა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში სამუშაო ადგილების ატესტაციისა და რაციონალიზაციის გეგმაზომიერი განხორციელების და ამის საფუძველზე შრომითს რესურსებთან მათი შეწონასწორების, შრომის ნაყოფიერების ამაღლების, ძირითადი ფონდებისა და კაპიტალურ დაბანდებათა გამოყენების ეფექტიანობის გადიდების უზრუნველყოფის მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა შესაბამის პროფკავშირულ ორგანოებთან ერთად უზრუნველყონ 1985-1986 წლებში სამუშაო ადგილების ატესტაციისა და რაციონალიზაციის დანერგვა ყველა სამრეწველო საწარმოში, ხოლო 1985-1987 წლებში — მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი

ეროვ. სსრ კ. მარქსის

კვების საწარმოებსა და ორგანიზაციებში. შემდგომში სამუშაო ადგილების ატესტაცია განახორციელონ გეგმაზომიერად, ხუთწლედში ორჯერ მაინც.

2. სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახმომარაგებამ, სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახმშენმა, სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტმა და სსრ კავშირის ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მონაწილეობით:

შეიმუშაონ და დაამტკიცონ სამი თვის ვადაში ტიპობრივი დებულება სამუშაო ადგილების ატესტაციის, რაციონალიზაციის, აღრიცხვისა და დაგეგმვის შესახებ;

შეიტანონ საჭირო დაზუსტებანი და ცვლილებანი ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების, მშენებარე და სარეკონსტრუქციო ობიექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემუშავების მეთოდიკურ მითითებებში, აგრეთვე საწარმოო გაერთიანების (საწარმოს) პასპორტში და სხვა ნორმატიულ მასალებში.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მონაწილეობით სამი თვის ვადაში შეიმუშაონ და დაამტკიცონ ნორმატიული მასალები სამუშაო ადგილებისა და შრომითი რესურსების ბალანსების შესადგენად.

3. საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა პროფკავშირულ კომიტეტებთან ერთად სამუშაო ადგილების ატესტაციის განხორციელებისას უზრუნველყონ:

ყველა სამუშაო ადგილის აღრიცხვა, პროგრესული ტექნიკური, ტექნოლოგიური, ორგანიზაციული გადაწყვეტილებების, შრომის დაცვის მოთხოვნების, მოწინავე გამოცდილების, ნორმატივებისა და სტანდარტების შეუსაბამო სამუშაო ადგილების გამოვლენა და ამ საფუძველზე მათი რაციონალიზაცია;

ხელის და მძიმე ფიზიკური შრომის გამოყენების, აგრეთვე არახელსაყრელი შრომისპირობებიანი სამუშაო ადგილების შემცირება, ნაკლებეფექტიანი სამუშაო ადგილების ლიკვიდაცია, მოწყობილობის მუშაობის ცვლიანობის კოეფიციენტის გადიდება;

შრომითი დანახარჯების გამოყენებული ნორმების დასაბუთებულობის შემოწმება და ტექნიკურად დასაბუთებული ნორმების დანერგვა;

შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ბრიგადული ფორმის ეფექტიანობის ამაღლება;

მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა ფართო მონაწილეობა სამუშაო ადგილების ატესტაციისა და რაციონალიზაციის განხორციელებაში,

სამუშაო ადგილების რაციონალიზაციის ღონისძიებანი შეიტანონ საწარმოთა და ორგანიზაციათა ეკონომიკური და სოციალური განვითარების წლიური და ხუთწლიანი გეგმების შესაბამის განაყოფებში და კოლექტიურ ხელშეკრულებებში. სამუშაო ადგილების ატესტაციისა და რაციონალიზაციის შედეგად განთავისუფლებული მოწყობილობის რეალიზაცია მოახდინონ დადგენილი წესით, ხოლო მიღებული სახსრები ჩარიცხონ წარმოების განვითარების ფონდში.

4. სამინისტროებმა და უწყებებმა:

შექმნან სამუშაო ადგილების ატესტაციისა და რაციონალიზაციის განსახორციელებლად მუდმივმოქმედი კომისიები, დააკისრონ მათ ამ მუშაობის კოორდინაცია და მეთოდური ხელმძღვანელობა, კონტროლი მისი განხორციელებისადმი, აგრეთვე მოწინავე გამოცდილების გავრცელება და დანერგვა;

შეიმუშაონ ტიპობრივი დებულების საფუძველზე და დაამტკიცონ შესაბამის პროფკავშირულ ორგანოებთან ერთად დარგობრივი დებულებანი სამუშაო ადგილების ატესტაციისა და რაციონალიზაციის შესახებ;

დაამტკიცონ მთავარი სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციები, რომლებიც პასუხს აგებენ დარგში სამუშაო ადგილების ატესტაციისა და რაციონალიზაციისადმი სამეცნიერო-მეთოდური ხელმძღვანელობისათვის;

მოაწყონ სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა მიერ სამუშაო ადგილების ატესტაციისა და რაციონალიზაციის საფუძვლების შესწავლა;

გაითვალისწინონ გეგმებში სამუშაო ადგილების რაციონალიზაციისათვის მოწყობილობისა და მატერიალური რესურსების გამოყოფა საწარმოთა და ორგანიზაციათა საკუთარი სახსრების, აგრეთვე ბანკების კრედიტების ხარჯზე;

გაითვალისწინონ სამუშაო ადგილების ატესტაციისა და რაციონალიზაციის შედეგები წარმოების მეცნიერულ-ტექნიკური დონის ამაღლების პროგრამების ფორმირების, საწარმოთა და ორგანიზაციათა ეკონომიკური და სოციალური განვითარების წლიური და ხუთწლიანი გეგმების შედგენის დროს, ამასთან უზრუნველყონ სამუშაო ადგილებისა და შრომითი რესურსების შეწონასწორება;

გამოყონ სახსრები საწარმოთა მშენებლობის, გაფართოებისა და რეკონსტრუქციისათვის მხოლოდ სამუშაო ადგილების რაციონალიზაციისა და მუშაკთა რაოდენობასთან მათი შეწონასწორების გათვალისწინებით მოქმედ საწარმოო სიმძლავრეებზე წარმოების მოცულობის გადიდების შესაძლებლობათა გამოვლენისა და გამოყენების შემდეგ;

გაითვალისწინონ ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებში ორგანიზაციული და ტექნოლოგიური აღჭურვილობის, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებების, სპეციალური მოწყობილობის დამამზადებელ სპეციალიზებულ წარმოებათა შექმნა საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებში სამუშაო ადგილების რაციონალიზაციის სამუშაოთა განსახორციელებლად.

5. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა გამოიყენონ საწარმოებსა და ორგანიზაციებში სამუშაო ადგილების ატესტაციისა და რაციონალიზაციის შედეგები შემდეგი საკითხების გადაწყვეტისას:

სამუშაო ადგილებისა და შრომითი რესურსების ბალანსების დაგეგმვისა და აღრიცხვის დანერგვა პრაქტიკაში;

ახალ საწარმოთა შექმნა და მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქცია;

შესაბამის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკთა რაოდენობის ლიმიტების დამტკიცება (შეთანხმება);

პენსიონერთა, ბავშვიან ქალთა, საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა, აგრეთვე შეზღუდული შრომისუნარიანობის პირთა შრომითი მოწყობა.

უზრუნველყონ საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებთან ერთად სამუშაო ადგილების შემცირებისა და რაციონალიზაციის შედეგად განთავისუფლებულ პირთა გადამზადება და შრომითი მოწყობა, ფართოდ ჩააბან ამ მუშაობაში მოსახლეობის შრომითი მოწყობის ბიუროები, განახორციელონ ღონისძიებანი აღნიშნული ბიუროების ქსელის გასაფართოებლად და მათი კვალიფიციური კადრებით განსამტკიცებლად.

6. სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად განაზოგადოს სამუშაო ადგილების ატესტაციისა და რაციონალიზაციის საფუძველზე წარმოების ეფექტიანობის ამაღლებასა და შრომითი რესურსების გამოყენებაში საწარმოთა და ორგანიზაციათა შრომით კოლექტივებთან სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების ურთიერთმოქმედების გამოცდილება. გამოცდილების შედეგების შესახებ მოახსენოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

7. ნება დაერთოთ საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს:

განახორციელონ მუშაკთა პრემირება ატესტაციის საფუძველზე სამუშაო ადგილების რაციონალიზაციის ორგანიზაციულ და ტექნიკურ ღონისძიებათა შემუშავებისა და განხორციელებისათვის იმ წესით, რაც დადგენილია ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვისათვის წასახალისებლად;

ჩააბან მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები იმავე საწარმოში (ორგანიზაციაში) სამუშაო ადგილების რაციონალიზაციისათვის მუშაობაში შეთავსების პირობებით (ძირითად სამუშაოზე სამუშაო დღის ფარგლებს გარეთ).

8. ნება დაერთოთ სამინისტროებსა და უწყებებს შესაბამის პროფკავშირულ ორგანოებთან შეთანხმებით დაუწესონ მატერიალური წახალისების, სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდების შექმნის გადიდებული ნორმატივები საწარმოებს, ორგანიზაციებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სამუშაო ადგილების რაციონალიზაციის საფუძველზე ფონდუკუგების გადიდებას, საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების გაუმჯობესებას.

9. სსრ კავშირის სახბანკმა და სსრ კავშირის მშენბანკმა მისცენ საწარმოებსა და ორგანიზაციებს კრედიტები სამუშაო ადგილების რაციონალიზაცი-

ის მაღალეფექტიანი ღონისძიებებისათვის, რომლებიც ხორციელდება სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა ლიმიტების გადამეტებით, სამ წლამდე ვადით იმ პირობით, რომ დასაკრედიტებელი ღონისძიებანი განხორციელდეს არა უმეტეს ერთი წლის განმავლობაში, ისინი ანაზღაურდეს და კრედიტი დაიფაროს ღონისძიების დამთავრების დღიდან ორ წლამდე ვადაში. კრედიტის დაფარვა განხორციელდეს წარმოების განვითარების ფონდის სახსრების ხარჯზე, ხოლო უკმარისობისას — საწარმოთა და ორგანიზაციათა განკარგულებაში დატოვებული ზეგეგმითი მოგების ხარჯზე.

10. რჩევა მიეცეთ სამინისტროებსა და უწყებებს განახორციელონ 1986-1987 წლებში ცალკეულ საწარმოებში ცდის სახით ტექნოლოგიური პროცესების, წარმოებების, უბნების, საამქროების ატესტაცია და რაციონალიზაცია.

სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტმა და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა საკავშირო პროფსაბჭოს მონაწილეობით და შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად განაზოგადონ აღნიშნული ცდის შედეგები და მიიღონ ზომები საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებში მისი გავრცელებისათვის.

11. სსრ კავშირის ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ მოაწყოს ამ დადგენილების 1-ლ პუნქტში გათვალისწინებული სახალხო მეურნეობის დარგების საწარმოებსა და ორგანიზაციებში სამუშაო ადგილების და მათი ატესტაციისა და რაციონალიზაციის შედეგების ყოველწლიური აღრიცხვა.

12. სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა წარუდგინონ 1987 წლის პირველ კვარტალში სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს მოხსენებანი მრეწველობაში სამუშაო ადგილების ატესტაციისა და რაციონალიზაციის შედეგების შესახებ და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში ამ მუშაობის მიმდინარეობის შესახებ.

სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად და სსრ კავშირის სახმომარაგების, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის და სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაწილეობით განაზოგადონ აღნიშნული მასალები და 1987 წლის ივნისში მოახსენონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

სსრ კავშირის
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ნ. ტიხონოვი

საკავშირო პროფსაბჭოს
თავმჯდომარე
ს. შალაევი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

67 მომუშავე პენსიონერთათვის პენსიების მიცემის მოქმედი წესის 1986 წელს გაგრძელების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. „მომუშავე პენსიონერთათვის პენსიების მიცემის მოქმედი წესის 1986 წელს გაგრძელების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 6 სექტემბრის № 852 დადგენილების შესაბამისად გაგრძელდეს „მუშაობის პერიოდში მოხუცებულობის პენსიის მიღების უფლების მქონე მუშაკთა კატეგორიების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 11 სექტემბრის № 862 დადგენილების თაობაზე და ამ საკითხზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 24 სექტემბრის № 662 დადგენილების 1-ლი პუნქტის მესამე და მეხუთე აბზაცების მოქმედება 1986 წელს.

2. მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 6 სექტემბრის № 852 დადგენილებით 1986 წლისათვის გაგრძელდა „ჩვილ ბავშვთა სახლებში, საბავშვო სახლებსა და სკოლა-ინტერნატებში ობოლ ბავშვთა და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა აღზრდის, სწავლებისა და მატერიალური უზრუნველყოფის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 30 აპრილის № 333 დადგენილებით დაგზავნილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 24 იანვრის № 85 დადგენილების მე-7 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოქმედების ვადა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ჭართველიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1985 წ. 1 ნოემბერი № 690.

68 სსრ კავშირის სახალხო არტისტის დ. ა. ალექსიძის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

გამოჩენილი ქართველი რეჟისორის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის დიმიტრი ალექსანდრეს ძე ალექსიძის ხსოვნის უკვდავყოფის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ:

— მიაკუთვნოს დ. ა. ალექსიძის სახელი საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სასწავლო თეატრს;

— დააწესოს საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში დ. ა. ალექსიძის სახელობის ერთი სტიპენდია ინსტიტუტის სასტიპენდიო ფონდის ფარგლებში.

2. საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა გამოსცეს საქართველოს თეატრალური საზოგადოების მიერ მომზადებული მონოგრაფია დ. ა. ალექსიძის შესახებ.

3. საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ გამოსცეს დ. ა. ალექსიძის წერილები და მოგონებათა კრებული დ. ა. ალექსიძის შესახებ.

4. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა:

— მიაკუთვნოს დ. ა. ალექსიძის სახელი ქალაქ თბილისის ერთ-ერთ ახალ ქუჩას;

— კეთილმოაწყოს დ. ა. ალექსიძის საფლავი, რისთვისაც დახარჯოს 3 ათას მანეთამდე;

— გაუკეთოს მემორიალური დაფა სახლს, სადაც ცხოვრობდა დ. ა. ალექსიძე (ქუჩიშვილის ქუჩა № 9).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1985 წ. 4 ნოემბერი, № 693.

69 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ნ. ა. ლანდიას ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წინადადება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ლანდიას ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ და ამასთან დაკავშირებით:

1. დაწესდეს ნ. ა. ლანდიას სახელობის ერთი სტიპენდია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სასტიპენდიო ფონდიდან ქიმიის დარგის წარჩინებული ასპირანტისათვის.

2. დაევალოს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს:

— განიხილოს ქალაქ თბილისის ახალმშენებლობათა რაიონში ერთ-ერთი ქუჩისათვის ნ. ა. ლანდიას სახელის მიკუთვნების საკითხი;

— გაუკეთოს მემორიალური დაფა სახლს, რომელშიც ცხოვრობდა ნ. ა. ლანდია, და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის შენობას, რომელშიც მუშაობდა იგი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ჭართველიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1985 წ. 12 ნოემბერი, № 700.

70 სსრ კავშირის სახალხო არტისტის ი. ი. სუხიშვილის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

გამოჩენილი ქართველი ქორეოგრაფის სსრ კავშირის სახალხო არტისტის ილია ილიას ძე სუხიშვილის ხსოვნის უკვდავყოფის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიეკუთვნოს ი. ი. სუხიშვილის სახელი საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო სკოლა-სტუდიას.

2. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ დააწესოს თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებლის სტუდენტთათვის ი. ი. სუხიშვილის სახელობის ერთი სტიპენდია სასწავლებლისათვის გამოყოფილი სასტიპენდიო ფონდის ფარგლებში.

3. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა:

— გაუკეთოს მემორიალური დაფა სახლს (ბარნოვის ქ. № 95), რომელშიც ცხოვრობდა ი. ი. სუხიშვილი;

— კეთილმოაწყოს ი. ი. სუხიშვილის საფლავი, რისთვისაც დახარჯოს სამი ათას მანეთამდე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია**

ქ. თბილისი, 1985 წ. 13 ნოემბერი, № 705.

71 საქართველოს სსრ ქალაქებში ყოველგვარი მიწისზედა შინასაქალაქო სამგზავრო ტრანსპორტით მგზავრობის ერთიანი ტარიფის შემოღების შესახებ

შინასაქალაქო სამგზავრო ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის შეგროვების ორგანიზაციის გაუმჯობესების, უნიფიცირებული საკასო აპარატების დანერგვის, მიწისზედა შინასაქალაქო ტრანსპორტის ზარალიანობის შემცირებისა და მგზავრობის საფასურის გადახდისას მგზავრთათვის მოხერხებული პირობების შექმნის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. შემოღებულ იქნეს 1985 წლის 16 დეკემბრიდან ქალაქ მოსკოვისა და სხვა ქალაქების მაგალითისამებრ რესპუბლიკის ქალაქებში ტრამვაით, ტროლეიბუსითა და ავტობუსით მგზავრობის ერთიანი ტარიფი ერთ გზაზე 5 კაპიკის ოდენობით, ნაცვლად მგზავრობის მოქმედი სხვადასხვა ტარიფისა.

2. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ, საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა და თბილისის სატრანსპორტო გაერთიანებამ:

— განახორციელონ ყოველგვარი მიწისზედა შინასაქალაქო სამგზავრო ტრანსპორტით (ტრამვაი, ტროლეიბუსი, ავტობუსი) მგზავრობის ერთიანი ტარიფის შემოღებასთან დაკავშირებული სათანადო ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი;

— მიიღონ ზომები იმისათვის, რათა კიდევ უფრო გაფართოვდეს საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტით მგზავრობის თვიური სამგზავრო ბილეთების (მათი ღირებულების შეუცვლელად) და ერთჯერადი საabონემენტო ტალონების გაყი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დვა სავაჭრო ქსელის, „სოიუზპეჩატის“, თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების სპეციალური კიოსკების მეშვეობით, მსხვილ მგზავრწარმომქმნელ კვანძებში, აგრეთვე საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა კოლექტივებში, უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში;

— განაგრძონ მუშაობა მგზავრთა მიერ საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის სწორად გადახდისადმი კონტროლის გასაძლიერებლად. ამ მიზნით სისტემატურად მოაწყონ მასობრივი რეიდები საზოგადოებრივ კონტროლიორთა ფართო მიზიდვით, აამაღლონ საკონტროლო სამსახურების მუშაობის ეფექტიანობა.

3. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროსთან, და საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროსთან ერთად შეიტანოს ამ დადგენილებიდან გამომდინარე სათანადო ცვლილებანი შესაბამის სატრანსპორტო ორგანიზაციათა საფინანსო გეგმებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1985 წ. 22 ნოემბერი, № 719.

72 საქართველოს სსრ სახმშენის სახელმწიფო სამშენებლო ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ სახმშენის მიერ შემუშავებული და სსრ კავშირის სახმშენთან შეთანხმებული დებულება საქართველოს სსრ სახმშენის სახელმწიფო სამშენებლო ინსპექციის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1985 წ. 29 ნოემბერი, № 730.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1985 წლის 29 ნოემბრის № 730 დადგენილებით

დებულება

საქართველოს სსრ სახმშენის სახელმწიფო სამშენებლო ინსპექციის შესახებ

1. საქართველოს სსრ სახმშენის სახელმწიფო სამშენებლო ინსპექციას, რომელიც საქართველოს სსრ სახმშენის დამოუკიდებელ სტრუქტურულ ქვედანაყოფს წარმოადგენს, ეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს სს რესპუბლიკაში მშენებარე და სარეკონსტრუქციო ობიექტებზე სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაციისა და მათი შესრულების ხარისხისადმი კონტროლის განსახორციელებლად და მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესების შესახებ წინადადებათა დროულად წარდგენისათვის.

საქართველოს სსრ სახმშენის სახელმწიფო სამშენებლო ინსპექცია ექვემდებარება საქართველოს სსრ სახმშენის თავმჯდომარეს და თავის საქმიანობაში ანგარიშვალდებულია სსრ კავშირის სახმშენის სახელმწიფო სამშენებლო ინსპექციის წინაშე სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოებისას სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნების დაცვის, მშენებლობის ხარისხისადმი კონტროლის ორგანიზაციისათვის სამინისტროთა და უწყებათა მუშაობის შემოწმების განხორციელების, აგრეთვე შემოწმებათა შედეგების ანალიზისა და განზოგადების საკითხებში.

სახელმწიფო სამშენებლო ინსპექციის შტატებსა და სტრუქტურას ამტკიცებს საქართველოს სსრ სახმშენის თავმჯდომარე. საქართველოს სსრ სახმშენის სახელმწიფო სამშენებლო ინსპექციის შემადგენლობაში შედის სამშენებლო ინდუსტრიის პროდუქციის ხარისხის კონტროლის განყოფილება.

2. საქართველოს სსრ სახმშენის სახელმწიფო სამშენებლო ინსპექციის მთავარი ამოცანები ის არის, რომ:

— განახორციელოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დადგენილი წესით კონტროლი საწარმოო და საბინაო-სამოქალაქო დანიშნულების შენობა-ნაგებობათა მშენებლობისა და რეკონსტრუქციის ხარისხისადმი, აგრეთვე საშენი მასალების, ნაკეთობებისა და კონსტრუქციების ხარისხისადმი;

— განაზოგადოს შემოწმებათა შედეგები და შეიმუშაოს წინადადებანი რესპუბლიკაში მშენებლობის ხარისხის ამაღლების მიზნით;

— კოორდინაცია გაუწიოს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სახმშენების სახელმწიფო სამშენებლო ინსპექციების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების სახელმწიფო არქიტექტურულ-სამშენებლო კონტროლის ორგანოების, აგრეთვე საქართველოს სსრ სახმშენის ტერიტორიული საპროექტო ორგანიზაციების, რესპუბლიკის საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროთა და უწყებათა მშენებლობის ხარისხის კონტროლის ინსპექციების, შემკვეთთა

ტექნიკური ზედამხედველობისა და საპროექტო ორგანიზაციების საავტორო ზედამხედველობის მუშაკთა საქმიანობას სახელმწიფო სამშენებლო ინსპექციის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე.

3. საქართველოს სსრ სახმშენის სახელმწიფო სამშენებლო ინსპექცია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მათი პრეზიდიუმების სხვა გადაწყვეტილებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის სახმშენისა და საქართველოს სსრ სახმშენის დადგენილებებით, განკარგულებებითა და სხვა ნორმატიული აქტებით, აგრეთვე ამ დებულებით.

4. საქართველოს სსრ სახმშენის სახელმწიფო სამშენებლო ინსპექცია მისთვის დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

— კოორდინაციას უწევს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სახმშენების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების სახელმწიფო არქიტექტურულ-სამშენებლო კონტროლის ორგანოების, საქართველოს სსრ სახმშენის ტერიტორიული საპროექტო ორგანიზაციების, რესპუბლიკის საკავშირო-რესპუბლიკურ და რესპუბლიკურ სამინისტროთა და უწყებათა მშენებლობის ხარისხის კონტროლის ინსპექციების მუშაობას, შეიმუშავებს მშენებლობის ხარისხის კონტროლის საკითხებზე მათი საქმიანობის პერსპექტიულ და წლიურ კრებსით გეგმებს და ახორციელებს კონტროლს აღნიშნული გეგმების შესრულებისადმი;

— სსრ კავშირის სახმშენისა და საქართველოს სსრ სახმშენის მიერ დამტკიცებული გეგმების შესაბამისად ახორციელებს კონტროლს რესპუბლიკაში საწარმოო და საბინაო-სამოქალაქო დანიშნულების იმ ობიექტების კაპიტალური მშენებლობის ხარისხისადმი, რომელთა მშენებლობის პროექტებს ამტკიცებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, შერჩევითს კონტროლს სხვა ობიექტების მშენებლობის, საშენი მასალების, ნაკეთობების, კონსტრუქციების ხარისხისადმი, აგრეთვე შერჩევითს კონტროლს სახელმწიფო მიმღები კომისიების მიერ ობიექტების საექსპლუატაციოდ მიღების წესების დაცვისადმი, განაზოგადებს შემოწმებათა შედეგებს და იღებს საჭირო ზომებს მათ გამო;

— ორგანიზაციას უწევს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სახელმწიფო არქიტექტურულ-სამშენებლო კონტროლის ორგანოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების მუშაობას საბინაო-სამოქალაქო დანიშნულების ყველა ობიექტის მშენებლობის ხარისხის შესამოწმებლად;

— ამოწმებს სამშენებლო ორგანიზაციების მქონე რესპუბლიკის საკავშირო-რესპუბლიკურ და რესპუბლიკურ სამინისტროთა და უწყებათა მუშაობას საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მშენებლობის ხარისხისადმი კონტროლის განსახორციელებლად და შეაქვს საჭირო წინადადებანი;

— ახორციელებს ხელმძღვანელობას აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სახმშენების სახელმწიფო სამშენებლო ინსპექციების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების სახელმწიფო არქიტექტურულ-სამშენებლო კონტროლის ორგანოების საქმიანობისადმი სახელმწიფო სამშენებლო ინსპექციის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე, ამოწმებს მათ მუშაობას და ამზადებს წინადადებებს მისი სრულყოფისათვის;

— აანალიზებს და განაზოგადებს მასალებს რესპუბლიკაში მშენებლობის ხარისხისადმი კონტროლის შედეგების მიხედვით და ამზადებს წინადადებებს მშენებლობის ხარისხისადმი კონტროლის ორგანიზაციისა და განხორციელების ეფექტიანობის ამაღლების საჭირო ღონისძიებათა შესახებ;

— ამზადებს საქართველოს სსრ სახმშენის ხელმძღვანელობისა და სსრ კავშირის სახმშენის სახელმწიფო სამშენებლო ინსპექციისათვის წარსადგენად წინადადებებს რესპუბლიკაში მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესების შესახებ და აყენებს საკითხს იმის თაობაზე, რომ საჭიროა საქართველოს სსრ სახმშენის, სამინისტროთა და უწყებათა კოლეგიების სხდომებზე ან კომიტეტის ხელმძღვანელებთან გამართულ თათბირებზე მოსმენილ იქნეს სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელთა მოხსენებანი და ინფორმაციები და მათთან შეთანხმებით — ცალკეული ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და საწარმოების ხელმძღვანელთა მოხსენებანი და ინფორმაციები;

— წარუდგენს დადგენილ ვადებში სსრ კავშირის სახმშენის სახელმწიფო ინსპექციას, ხოლო საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის საკითხებზე — აგრეთვე სსრ კავშირის სახმშენთან არსებული სამოქალაქო მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის სახელმწიფო არქიტექტურულ-სამშენებლო კონტროლის სამმართველოს ინფორმაციას საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების და მთლიანად რესპუბლიკის მიხედვით გაწეული მუშაობის, ჩატარებული შემოწმებების, მშენებლობის ხარისხის მდგომარეობის შესახებ;

— ასრულებს სსრ კავშირის სახმშენის სახელმწიფო სამშენებლო ინსპექციის ცალკეულ დავალებებს რესპუბლიკაში მშენებლობის ხარისხისადმი კონტროლის ორგანიზაციის, სრულყოფისა და განხორციელების საკითხებზე;

— მონაწილეობს მშენებლობის ხარისხთან დაკავშირებულ საკითხებზე ნორმატიული დოკუმენტებისა და სახელმწიფო სტანდარტების შემუშავებაში;

— შეისწავლის და განაზოგადებს მშენებლობის ხარისხისადმი კონტროლის ორგანიზაციისა და განხორციელებისათვის მუშაობის მოწინავე სამამულო და საზღვარგარეთულ გამოცდილებას და შეიტანს საჭირო წინადადებებს ამ გამოცდილების გამოყენების შესახებ.

5. საქართველოს სსრ სახმშენის სახელმწიფო სამშენებლო ინსპექციას უფლება ენიჭება დადგენილი წესით:

— შეამოწმოს რესპუბლიკის საკავშირო-რესპუბლიკურ და რესპუბლიკურ სამინისტროებსა და უწყებებში, სამშენებლო და სამშენებლო-სამონტა-

ჟო ორგანიზაციებსა და საწარმოებში შესრულებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების, გამოშვებული სამშენებლო კონსტრუქციების, ნაკეთობებისა და მასალების ხარისხი, მოისმინოს ამ საკითხებზე სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელებთან შეთანხმებით მათი საქვეუწყებო ორგანიზაციებისა და საწარმოების ხელმძღვანელთა მოხსენებანი და ინფორმაციები, მიიღოს აღნიშნული შემოწმებების, მოხსენებებისა და ინფორმაციების შედეგების მიხედვით თავისი კომპეტენციის ფარგლებში გადაწყვეტილებანი, რომელთა შესრულება სავალდებულოა;

— მოიწვიოს თათბირები თავის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე;

— მიიზიდოს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების, სამშენებლო კონსტრუქციების, ნაკეთობებისა და მასალების ხარისხის შემოწმებებში მონაწილეობის მისაღებად, ექსპერტიზების, გამოკვლევებისა და გამოცდების ჩასატარებლად დაინტერესებული სამინისტროები და უწყებები, მათი საქვეუწყებო ორგანიზაციები, დაწესებულებები, უმაღლესი სასწავლებლები, ცალკეული მეცნიერები და სპეციალისტები;

— მიიღოს მისთვის დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსაგან, საქართველოს სსრ და ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროებისა და უწყებებისაგან სტატისტიკური მონაცემები, აგრეთვე საჭიროების კვალობაზე უშუალოდ ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და საწარმოებისაგან, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, საანგარიშგებო მონაცემები მშენებლობის ხარისხის საკითხებზე;

— დაავალოს თავის კომპეტენციაში შემავალი ცალკეული საკითხების გადაწყვეტა აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სახმშენებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების სახელმწიფო არქიტექტურულ-სამშენებლო კონტროლის ორგანოებს;

— შეაჩეროს ობიექტების მშენებლობა, რაც ხორციელდება საქართველოს სსრ ტერიტორიაზე პროექტების გარეშე ან დამტკიცებული პროექტებისაგან გადახვევით, დაპროექტებისა და მშენებლობის დარგში ნორმატიული დოკუმენტებისა და სახელმწიფო სტანდარტების მოთხოვნების დარღვევით, აგრეთვე სამშენებლო კონსტრუქციების, ნაკეთობებისა და მასალების წარმოება, რაც ხორციელდება დამტკიცებული სამუშაო ნახაზების, სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების დარღვევით;

— შეიტანოს დამოუკიდებლად ან საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს, საქართველოს სსრ პროკურატურის, სსრ კავშირის მშენბანკისა და სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის ორგანოებთან ერთად წინადადებანი უხარისხო მშენებლობისათვის სანქციების გამოყენების შესახებ.

6. საქართველოს სსრ სახმშენის სახელმწიფო სამშენებლო ინსპექციას სათავეში უდგას ინსპექციის უფროსი — საქართველოს სსრ მთავარი სამშე-

ნებლო ინსპექტორი, რომელსაც ნიშნავს საქართველოს სსრ სახმშენის თავმჯდომარე სსრ კავშირის სახმშენთან შეთანხმებით.

7. საქართველოს სსრ სახმშენის სახელმწიფო სამშენებლო ინსპექცია, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სახმშენის სახელმწიფო სამშენებლო ინსპექციების, საქართველოს სსრ სახმშენის ტერიტორიული საპროექტო ორგანიზაციების შესაბამისი ქვედანაყოფები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების არქიტექტურულ-სამშენებლო კონტროლის ორგანოები შეადგენენ რესპუბლიკაში მშენებლობის ხარისხისადმი სახელმწიფო არქიტექტურულ-სამშენებლო კონტროლის ერთიან სისტემას.

8. საქართველოს სსრ სახმშენის სახელმწიფო სამშენებლო ინსპექციას აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მისი დასახელება ქართულ და რუსულ ენებზე, აგრეთვე დაწესებული ფორმის ბლანკები საქმისწარმოებისათვის.

---

73 რესპუბლიკური (საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ) და ადგილობრივი დაქვემდებარეების სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და სხვა ობიექტებისათვის სახელის დარქმევისა და გადარქმევის წესის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 18 მარტის ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხების გადაწყვეტის წესის შესახებ დებულების 21-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება რესპუბლიკური (საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ) და ადგილობრივი დაქვემდებარების სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და სხვა ობიექტებისათვის სახელის დარქმევისა და გადარქმევის წესის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1985 წ. 29 ნოემბერი, № 734.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 29 ნოემბრის № 734 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

რესპუბლიკური (საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ) და ადგილობრივი დაქვმდებარების სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და სხვა ობიექტებისათვის სახელის დარქმევისა და გადარქმევის წესის შესახებ

ზოგადი დებულებანი

1. ამ დებულებით განისაზღვრება სახელის დარქმევის, გადარქმევის და დასახელებათა ტრანსკრიფციის დაზუსტების წესი:

რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა, სამშენებლო, საპროექტო, სამეცნიერო-კვლევითი, გეოლოგიური ორგანიზაციებისა, დაწესებულებებისა, უმაღლესი, საშუალო სპეციალური და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისა, ყველა ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა, სკოლამდელი, სკოლისგარეშე და სახალხო განათლების სხვა დაწესებულებებისა, ჰიდრონაგებობებისა და სხვა ობიექტებისა;

დასახლებული პუნქტების პროსპექტებისა, ქუჩებისა, მოედნებისა, სკვერებისა, პარკებისა, ხიდებისა და სხვა შემადგენელი ნაწილებისა.

2. რესპუბლიკური (საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ,) და ადგილობრივი დაქვმდებარების სახელმწიფო ობიექტებს, აგრეთვე დასახლებული პუნქტების პროსპექტებს, ქუჩებს, მოედნებსა და სხვა შემადგენელ ნაწილებს სახელი დაერქმევათ გეოგრაფიული, ისტორიული, ეროვნული, საყოფაცხოვრებო და სხვა ადგილობრივი პირობების, ადგილობრივი მოსახლეობის აზრისა და მოქალაქეთა კომუნისტური აღზრდის ამოცანების გათვალისწინებით. დასახელებანი უნდა შეირჩეს უბრალო, მოკლე და შეესაბამებოდეს ტოპონიმიკის მოთხოვნებს. არ დაიშვება იმ სახელის დარქმევა, რომელიც უკვე აქვს მიკუთვნებული აღნიშნული რაიონის ტერიტორიაზე განლაგებულ სხვა საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და სხვა ობიექტებს (მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა), აგრეთვე სახელებისა, რომლებიც უკვე აქვს მიკუთვნებული საქართველოს სსრ შესაბამისი სამინისტროს, სახელმწიფო კომიტეტის ან უწყების სხვა საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და ობიექტებს.

3. საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და სხვა ობიექტთა დასახელებანი, როგორც წესი, უნდა ასახავდეს მათს ადგილსამყოფელს, საქმიანობის საგანსა და დაქვემდებარებას. საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და სხვა ობიექტებს შეიძლება მიეკუთვნოს შემოკლებული და პირობითი სახელები.

4. რესპუბლიკური (საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ) და ადგილობრივი დაქვემდებარების სახელმწიფო ობიექტებს, აგრეთ-

ვე დასახლებული პუნქტების პროსპექტებს, ქუჩებს, მოედნებსა და სხვა შემადგენელ ნაწილებს შეიძლება მიეკუთვნოს სახელი რევოლუციური და სხვა ისტორიული მოვლენების აღსანიშნავად, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების პატივსაცემად, აგრეთვე განსაკუთრებით გამოჩენილ სახელმწიფო და საზოგადო-პოლიტიკურ მოღვაწეთა, სამშობლოს დამცველთა, შრომის გმირთა, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა სახელი.

განსაკუთრებით თვალსაჩინო სახელმწიფო და საზოგადო-პოლიტიკურ მოღვაწეთა, სამშობლოს დამცველთა, შრომის გმირთა, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა სახელის მიკუთვნება ხდება სიკვდილის შემდეგ მათი ხსოვნის უკვდავყოფის მიზნით და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში — „ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების, დასახლებული პუნქტების, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და სხვა ობიექტებისათვის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა სახელების მიკუთვნების საქმის მოწესრიგების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 11 სექტემბრის ბრძანებულების თანახმად და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 17 მარტის ბრძანებულებებით დამტკიცებული საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხების გადაწყვეტის წესის შესახებ დებულების შესაბამისად.

5. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ობიექტი დაჯილდოვდა სსრ კავშირის ორდენით ან მიეკუთვნა განსაკუთრებით თვალსაჩინო სახელმწიფო, საზოგადოპოლიტიკური მოღვაწის, სამშობლოს დამცველის, შრომის გმირის, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწის სახელი, ორდენის დასახელება ან მიკუთვნებული სახელი შედის ობიექტის სახელწოდებაში.

6. ობიექტებისათვის სახელის დარქმევა და გადარქმევა ხდება დასახლებული პუნქტებისა და ფიზიკურ-გეოგრაფიული ობიექტების ნასესხებ დასახელებათა დაწესებული ტრანსკრიფციის დაცვით.

7. შუამდგომლობანი საქართველოს სსრ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტის საქვეუწყებო სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და სხვა ობიექტებისათვის სახელის დარქმევისა და გადარქმევის შესახებ, აგრეთვე რევოლუციური და სხვა ისტორიული მოვლენების აღსანიშნავად, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა პატივსაცემად დასახლებული პუნქტების პროსპექტების, ქუჩების, მოედნებისა და სხვა შემადგენელი ნაწილებისათვის მათი დასახელების მიკუთვნების, განსაკუთრებით თვალსაჩინო სახელმწიფო და საზოგადო-პოლიტიკურ მოღვაწეთა, სამშობლოს დამცველთა, შრომის გმირთა, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა სახელის დარქმევის შესახებ შეიძლება აღძრან სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა და მათმა ორგანოებმა, სამინისტროებმა, უწყებებმა, სახელმწიფო კომიტეტებმა და უწყებებმა, სახელმწიფო, კოოპერაციულმა და სხვა საზოგადოებრივმა საწარმოებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა, შრომითმა კოლექტივებმა და მოქალაქეებმა.

8. შეკვეთები საქართველოს სსრ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების საქვეუწყებო სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების და ადგილობრივი დაქვემდებარების ობიექტებისათვის ბეჭდების, შტამპების, ბლანკებისა და სხვა დოკუმენტაციის დასამზადებლად შეიტანება დადგენილი წესით მათთვის სახელის დარქმევის ან გადარქმევის შემდეგ.

9. საკავშირო დაქვემდებარების სახელმწიფო საწარმოების, რკინიგზის სადგურების, აეროპორტების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და სხვა ობიექტებისათვის სახელის დარქმევა, გადარქმევა და დასახელებათა ტრანსკრიფციის დაზუსტება ხდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 29 ნოემბრის № 914 დადგენილებით განსაზღვრული წესით.

რესპუბლიკური (საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ) და ადგილობრივი დაქვმდებარების სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და სხვა ობიექტებისათვის სახელის დარქმევა და გადარქმევა

10. ახალშექმნილ სახელმწიფო საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და სხვა ობიექტებს სახელს მიაკუთვნებენ:

რესპუბლიკური (საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ) დაქვემდებარების ობიექტებს — საქართველოს სსრ შესაბამისი სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები და უწყებები;

ადგილობრივი დაქვემდებარების ობიექტებს — სახალხო დეპუტატთა შესაბამისი რაიონული, საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებით შექმნილ ობიექტებს სახელს მიაკუთვნებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

11. რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და სხვა ობიექტებისათვის მისაკუთვნებელი სახელები უთანხმდებათ სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, რომელთა ტერიტორიაზეც განლაგებულია ეს ობიექტები.

აღნიშნული შეთანხმება საჭირო არ არის თავდაცვითი მნიშვნელობის მქონე ობიექტების, აგრეთვე იმ საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის სახელის მიკუთვნებისას, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია ხშირ გადაადგილებასთან.

საქართველოს სსრ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების სისტემაში შემავალი სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და სხვა ობიექტებისათვის სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ მისაკუთვნებელი სახელები უნდა შეუთანხმდეს საქართველოს სსრ შესაბამის სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებს.

12. რევოლუციური და სხვა ისტორიული მოვლენების აღსანიშნავად, აგრეთვე სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა პატივსაცემად სახელმწიფო საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და სხვა ობიექტებს სახელს მიაკუთვნებენ:

რესპუბლიკური (საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, და აჭარის ასსრ) დაქვემდებარების ობიექტებს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები:

ადგილობრივი დაქვემდებარების ობიექტებს — სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

აღნიშნულ ობიექტებს განსაკუთრებით თვალსაჩინო სახელმწიფო და საზოგადო-პოლიტიკურ მოღვაწეთა, სამშობლოს დამცველთა, შრომის გმირთა, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა სახელს მიაკუთვნებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო „ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების, დასახლებული პუნქტების, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და სხვა ობიექტებისათვის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა სახელების მიკუთვნების საქმის მოწესრიგების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 11 სექტემბრის ბრძანებულების შესაბამისად.

13. საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებით აგებულ ძეგლებს, მონუმენტებს, ობელისკებსა და მონუმენტური ხელოვნების სხვა ნაწარმოებებს სახელს მიაკუთვნებს, აგრეთვე მათზე წარწერის ტექსტებს დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

წინადადებანი აღნიშნული ობიექტებისათვის სახელის მიკუთვნებისა და მათზე წარწერის ტექსტების შესახებ შეაქვს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს დაინტერესებულ ორგანიზაციებთან შეთანხმებით.

14. რესპუბლიკური (საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, და აჭარის ასსრ) და ადგილობრივი დაქვემდებარების სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და სხვა ობიექტებისათვის სახელის გადარქმევა, აგრეთვე მათი დასახელების ტრანსკრიფციის დაზუსტება ხდება შესაბამისი ობიექტების დასახელებისათვის ამ დებულებით დადგენილი წესების მიხედვით.

საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და სხვა ობიექტებისათვის სახელის გადარქმევა დაიშვება მათი რეორგანიზაციის, სხვა ადგილზე გადატანის, საქმიანობის საგნის ან დაქვემდებარების შეცვლის, იმ დასახლებული პუნქტების სახელის შეცვლის შემთხვევაში, სადაც განლაგებულია ობიექტები, აგრეთვე სხვა განსაკუთრებულ შემთხვევებში.

შეერთების ან მიერთების გზით შექმნილ საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და სხვა ობიექტებს შეიძლება მიეკუთვნოს ერთ-ერთი წინანდელი სახელი.

საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და სხვა ობიექტების დაქვემდებარების შეცვლის ან იმ დასახლებული პუნქტების სახელის შეცვლის

შემთხვევაში, სადაც განლაგებულია ობიექტები, სახელის გადარქმევისას ამ დებულების მე-11 პუნქტით გათვალისწინებული შეთანხმება საჭირო არ არის.

დასახლებული პუნქტების პროსპექტების, ქუჩების, მოედნებისა და სხვა შემადგენელი ნაწილებისათვის სახელის დარქმევა და გადარქმევა

15. დასახლებული პუნქტების პროსპექტებს, ქუჩებს, მოედნებს, სკვერებს, პარკებს, ხიდებსა და სხვა შემადგენელ ნაწილებს სახელს დაარქმევენ, გადაარქმევენ და რევოლუციური და სხვა ისტორიული მოვლენების აღსანიშნავად, აგრეთვე სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა პატივსაცემად მათ სახელწოდებას მიაკუთვნებენ სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

დასახლებული პუნქტების ახალშექმნილ პროსპექტებს, ქუჩებს, მოედნებსა და სხვა შემადგენელ ნაწილებს სახელი დაერქმევა რაიონებისა და მიკრორაიონების დეტალური დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტების დამტკიცებასთან ერთად ან ახალი მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფისას.

არ დაიშვება დასახლებული პუნქტების პროსპექტების, ქუჩების, მოედნებისა და სხვა შემადგენელი ნაწილებისათვის ამ დასახლებულ პუნქტში უკვე მიკუთვნებული სახელების დარქმევა.

16. დასახლებული პუნქტების პროსპექტების, ქუჩების, მოედნებისა და სხვა შემადგენელი ნაწილებისათვის სახელების გადარქმევა ხდება, როგორც წესი, ერთნაირი დასახელების ერთგვარი ობიექტების არსებობის, არაკეთილსმოვნობის შემთხვევაში ან დასახლებული პუნქტის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით.

17. დასახლებული პუნქტების პროსპექტებს, ქუჩებს, მოედნებს, სკვერებს, პარკებს, ხიდებსა და სხვა შემადგენელ ნაწილებს განსაკუთრებით თვალსაჩინო სახელმწიფო და საზოგადო-პოლიტიკურ მოღვაწეთა, სამშობლოს დამცველთა, შრომის გმირთა, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა სახელებს მიაკუთვნებენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 17 მარტის ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხების გადაწყვეტის წესის შესახებ დებულების შესაბამისად სახალხო დეპუტატთა საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ამ დებულების მე-7 პუნქტით დადგენილი წესით.

18. ქალაქების პროსპექტების, ქუჩების, მოედნებისა და სხვა შემადგენელი ნაწილებისათვის სახელის დარქმევისა და გადარქმევის შესახებ წინადადებათა მოსამზადებლად სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს საჭირო შემთხვევებში შეუძლიათ შექმნან კომისიები მათ შემადგენლობაში ისტორიკოსთა, ენათმეცნიერთა, არქიტექტორთა, მხარეთმცოდნეთა და სხვა სპეციალისტთა მიწვევით.

დასკვნითი დებულება

19. რესპუბლიკური (საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ) დაქვემდებარების სახელმწიფო ობიექტების დასახელებათა კატალოგებს აწარმოებენ საქართველოს სსრ შესაბამისი სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები და უწყებები, ხოლო ადგილობრივი დაქვემდებარებისა — სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

20. იმ ძეგლთა, მონუმენტთა, ობელისკთა და მონუმენტური ხელოვნების სხვა ნაწარმოებთა ნუსხებს, რომელთაც სახელი მიეკუთვნათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით, შეადგენს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო.

21. პროსპექტების, ქუჩების, მოედნების, სკვერების, პარკების, ხიდებისა და სხვა ნაგებობების დასახელებათა კარტოთეკებს აწარმოებენ სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

22. საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, დასახლებული პუნქტების პროსპექტების, ქუჩების, მოედნებისა და სხვა შემადგენელი ნაწილების ფირნიშების ფორმასა და ტექსტებს, აგრეთვე მათ დასახელებათა დაწერილობას ქართულ და რუსულ ენებზე განსაზღვრავენ საქართველოს სსრ შესაბამისი სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები, უწყებები და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

74 საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ძირითადი ფონდების საამორტიზაციო ანარიცხების ახალი ნორმების შემუშავების შესახებ

ძირითადი ფონდების დროულად განახლებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის ეკონომიკური პირობების შექმნის, მანქანა-მოწყობილობის გამოსადეგობისა და ძირითადი ფონდების მორალური ცვეთის ნორმატიული ვადების უფრო სრულად აღრიცხვის უზრუნველყოფის, აგრეთვე ფიზიკურად გაცვეთილი მოწყობილობის არაეფექტიანი კაპიტალური რემონტის შეწყვეტის მიზნით და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 13 აგვისტოს № 770 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროებმა და უწყებებმა შეიმუშაონ საამორტიზაციო ანარიცხების ახალი ნორმების პროექტები და წარუდგინონ საჭირო გაანგარიშებითა და დასაბუთებითურთ 1986 წლის 15 ივლისამდე საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა 1986 წლის 1 თებერვლამდე დაუგზავნოს რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროებსა და უწყებებს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან ერთად სსრ კავშირის სახმშენის, სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტის, სსრ კავშირის სახბანკის, სსრ კავშირის მშენბანკისა და სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაწილეობით შემუშავებული მეთოდიკური მითითებანი საამორტიზაციო ანარიცხების გადასინჯვის შესახებ.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან ერთად და საქართველოს სსრ სახმშენის, საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტის, სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორისა და სსრ კავშირის მშენბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მონაწილეობით განიხილოს საქართველოს სსრ რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროებისა და უწყებების მიერ შემუშავებული საამორტიზაციო ანარიცხების ახალი ნორმების პროექტები და წარმოუდგინოს ისინი საჭირო გაანგარიშებითა და დასაბუთებითურთ 1986 წლის 15 სექტემბრამდე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემდგომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსათვის გასაგზავნად.

საქართველოს სსრ რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროებმა და უწყებებმა განახორციელონ საამორტიზაციო ანარიცხების დასახული ერთიანი ნორმების, აგრეთვე ძირითადი ფონდების რემონტის დანახარჯების ნორმატივების პროდუქციის, სამუშაოებისა და მომსახურების თვითღირებულებაზე გავლენის გაანგარიშებანი და წარუდგინონ ისინი საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს 1987 წლის 15 ივნისისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ განაზოგადონ საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებებისაგან მიღებული გაანგარიშებანი და წარმოუდგინონ ისინი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსათვის გასაგზავნად არა უგვიანეს 1987 წლის 1 სექტემბრისა.

2. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა 1986 წლის 1 მარტამდე დაუგზავნოს რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროებსა და უწყებებს მეთოდიკური მითითებანი ძირითადი ფონდების რემონტის დანახარჯების ნორმატივების დაწესების შესახებ, რომლებიც სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა შეიმუშავა სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან ერთად ძირითადი ფონდების გამოსადეგობის ეკონომიკურად მიზანშეწონილი ვადების და კაპიტალური, საშუალო და მიმდინარე რემონტისა და შეცვლის ოპტიმალური შეხამების გათვალისწინებით.

3. საქართველოს სსრ რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროებმა და უწყებებმა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული ძირითადი ფონდების რემონტის დანახარჯების ნორმატივების დაწესების მეთოდიკური მითითებების საფუძველზე:

შეიმუშაონ და წარუდგინონ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს ძირითადი ფონდების რემონტის დანახარჯების ნორმატივების პროექტები 1986 წლის 1 სექტემბრამდე;

შეიმუშაონ და დაამტკიცონ 1987 წლის 1 იანვრამდე დარგობრივი დებულებანი ძირითადი ფონდების რემონტის ორგანიზაციისა და განხორციელების შესახებ.

4. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ განიხილონ სამინისტროებისა და უწყებების მიერ შემუშავებული ძირითადი ფონდების რემონტის დანახარჯების ნორმატივები და დებულებანი ძირითადი ფონდების რემონტის ორგანიზაციისა და განხორციელების შესახებ და წარმოუდგინონ ისინი 1987 წლის 1 იანვრამდე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემდგომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსათვის გასაგზავნად.

5. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომმა ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმათა პროექტების მომზადებისას გაითვალისწინონ ძირითადი ფონდების შეცვლა საამორტიზაციო ანარიცხების ახალი ნორმების მიხედვით.

6. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1985 წლის 13 აგვისტოს № 770 დადგენილებით:

— **დააწესა, რომ:**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საამორტიზაციო ანარიცხების ახალი ნორმები გათვალისწინებულია მხოლოდ ძირითადი ფონდების სრული აღდგენისათვის და შემოღებულ იქნება სამოქმედოდ 1988 წლის 1 იანვრიდან;

აღნიშნული ნორმების სამოქმედოდ შემოღების შემდეგ ძირითადი ფონდების ყოველგვარი რემონტი (მიმდინარე, საშუალო და კაპიტალური) განხორციელდება საწარმოო გაერთიანებებში, საწარმოებსა და სამეურნეო ორგანიზაციებში შექმნილი ძირითადი ფონდების რემონტის ფონდის სახსრების ხარჯზე, დადგენილებით განსაზღვრული წესით დამტკიცებული ძირითადი ფონდების რემონტის დანახარჯების ნორმატივების მიხედვით, ამასთან ისინი შეტანილ იქნება პროდუქციის, სამუშაოებისა და მომსახურების თვითღირებულებაში.

აღნიშნული ფონდის სახსრები არის საწარმოო გაერთიანებათა და სამეურნეო ორგანიზაციათა განკარგულებაში და ისინი იყენებენ მიზნობრივი დანიშნულებით. ფონდის გამოუყენებელი ნაშთები გადადის მომდევნო წელს და არ ჩამოერთმევა;

— დაავალა:

მანქანათმშენებლობის პროდუქციის დამამზადებელ სამინისტროებსა და უწყებებს — შეიმუშაონ ამ პროდუქციის ძირითად მომხმარებელ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით დაამტკიცონ 1986 წლის 1 აპრილამდე მანქანა-მოწყობილობის გამოსადეგობის ნორმატიული ვადები, მათი ექსპლუატაციის ინტენსიურობის ამაღლებისა და ამორტიზაციის ვადების შემცირების აუცილებლობიდან გამომდინარე, მანქანათმშენებლობის პროდუქციის განახლების პროგრესული ნორმატიული ვადების გათვალისწინებით.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს შეიმუშაონ და დაამტკიცონ მანქანა-მოწყობილობის გამოსადეგობის ნორმატიული ვადების განსაზღვრის წესი;

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს — სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან ერთად შეიმუშაოს 1986 წლის 1 იანვრამდე მეთოდიკური მითითებანი ძირითადი ფონდების რემონტის დანახარჯების ნორმატივების დაწესების შესახებ, ძირითადი ფონდების გამოსადეგობის ეკონომიკურად მიზანშეწონილი ვადების და კაპიტალური, საშუალო და მიმდინარე რემონტისა და შეცვლის ოპტიმალური შეხამების გათვალისწინებით;

— ნება დართო სამინისტროებსა და უწყებებს, სხვა ორგანიზაციებს მიიზიდონ 1986-1987 წლებში საამორტიზაციო ანარიცხების ახალი ნორმების, ძირითადი ფონდების რემონტის დანახარჯების ნორმატივების შესამუშავებლად და დადგენილებით გათვალისწინებულ სხვა სამუშაოთა შესასრულებლად:

სპეციალისტები სხვა ორგანიზაციებიდან საშტატო შეთავსების პირობებით;

მოხუცებულობის გამო არმომუშავე პენსიონერები (ერთ წლამდე ვადით). მათთვის პენსიის სრული ოდენობით მიცემით, იმ ვარაუდით, რომ პენსიისა და გამომუშავების საერთო თანხა არ აღემატებოდეს 300 მანეთს თვეში;

საქვეუწყებო საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა მუშაკები აღნიშნულ სამუშაოთა შესრულებისათვის შრომის აკორდული ანაზღაურებით;

— დაავალა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს შეიმუშაოს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან ერთად და სსრ კავშირის სახმშენის, სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტის, სსრ კავშირის სახბანკის, სსრ კავშირის მშენბანკისა და სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაწილეობით და დაამტკიცოს:

1985 წლის 1 ნოემბრამდე — მეთოდიკური მითითებანი საამორტიზაციო ანარიცხების ნორმების გადასინჯვის შესახებ;

1987 წლის 1 ოქტომბრამდე — დებულება საამორტიზაციო ანარიცხების დარიცხვისა და წარმოების ტექნიკური კვლავაღჭურვისათვის გამოყენების წესის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ჭართველიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1985 წ. 23 დეკემბერი, № 805.

75 სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან სახელმწიფო არბიტრაჟის შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წინადადება, შეთანხმებული საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან სახელმწიფო არბიტრაჟის შექმნის შესახებ.

დაწესდეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის შტატი ერთი ერთეულის რაოდენობით სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისათვის 1985 წელს დამტკიცებული სახელმწიფო მმართველობის აპარატის რიცხოვნობის ფარგლებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ჭართველიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1985 წ. 25 დეკემბერი, № 820.

76 საქართველოს სსრ სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საწარმოებში ნისიად გასაყიდი ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის ნუსხაში დამატების შეტანის შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1985 წლის 5 ივლისს მიიღო № 622 დადგენილება „მოქალაქეთათვის ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის მიყიდვის შესახებ“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაკმაყოფილდეს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს თხოვნა და სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის სავაჭრო საწარმოებში ნისიად გასაყიდი ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის ნუსხაში, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 18 სექტემბრის № 614 დადგენილებით „მოქალაქეთათვის ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის ნისიად მიყიდვის შესახებ“, შეტანილ იქნეს დამატებით მსუბუქი ავტომობილები „მოსკვიჩი“ და „ზაპოროჟეცი“ (გარდა ავტომობილებისა „მოსკვიჩ-2140“-ლუქსი და ლუაზი“).

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 19 აპრილის № 427 და 1984 წლის 24 მაისის № 599 განკარგულებანი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ჭართველიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1985 წ. 25 დეკემბერი, № 821.

77 საქართველოს სსრ კანონთა წიგნის II კარის—„კანონმდებლობა სოციალური განვითარებისა და კულტურის შესახებ. მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებანი“ მომზადებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

საქართველოს სსრ კანონთა წიგნის II კარის „კანონმდებლობა სოციალური განვითარებისა და კულტურის შესახებ. მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებანი“ მომზადებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემდეგი დადგენილებანი:

— საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1945 წლის 12 აპრილის № 425 დადგენილება „იმ პირთათვის, რომლებიც მოხუცებულობის გამო პენსიას იღებენ, და საწარმოებსა და დაწესებულებებში მომუშავე ინვალიდებისათვის მორიგი და დამატებითი შვებულების მიცემის წესის შესახებ“;

— საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1945 წლის 28 ივნისის № 790 დადგენილება „გამოსაშვები გამოცდების ჩასაბარებლად წარმოებაში მომუშავე და მუშა ახალგაზრდობის სკოლების მოსწავლე პირთათვის დამატებითი შვებულების დაწესების შესახებ“;

—საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 4 დეკემბრის № 687 დადგენილება „პერსონალური პენსიების დებულების შემოღების შესახებ“;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 3 მარტის № 138 დადგენილება „პერსონალური პენსიების დებულების შემოღების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 4 დეკემბრის № 687 დადგენილების დამატების თაობაზე“;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 6 იანვრის № 6 დადგენილება „მუშათა ორგანიზებული შეგროვების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“.

2. „მოქალაქეთა კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის ორგანიზაციის გაუმჯობესების ზომების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 31 მარტის № 176 დადგენილების მე-9 პუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები: „და დაწესდეს, რომ ავტომობილების იმ სამარაგო ნაწილების, აგრეგატებისა და კვანძების ფონდების რეალიზაცია, რომლებიც განკუთვნილია „საქავტოტექმომსახურების“ სპეციალიზებული სამმართველოსათვის, ხორციელდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ მეშვეობით, ტრანზიტად უშუალოდ მიმწოდებელი ქარხნებისაგან“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე Დ. ჟართველიშვილი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი Ზ. ახვლედიანი

ქ. თბილისი, 1985 წ. 25 დეკემბერი, № 825.

78 მუშა, მოსამსახურე და კოლმეურნე ინვალიდებისათვის, აგრეთვე ბავშვობიდან ინვალიდებისათვის მიცემული მოტოეტლების კაპიტალური რემონტის ჩატარების წესის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს სახელმძღვანელოდ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 24 ოქტომბრის № 1000 დადგენილებით დაწესდა, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 4 აპრილის № 272 დადგენილების შესაბამისად მუშა, მოსამსახურე და კოლმეურნე ინვალიდებისათვის, აგრეთვე ბავშვობიდან ინვალიდებისათვის შეღავათიანი პირობებით ან უფასოდ მიცემული მოტოეტლების კაპიტალური რემონტი ტარდება მათი მიცემის დღიდან ხუთი წლის განმავლობაში ერთხელ სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე. ამასთან ასეთი რემონტის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს მოტოეტლის ღირებულების 50 პროცენტს.

2. საქართველოს ავტოტექმომსახურების რესპუბლიკურმა სპეციალიზებულმა სამმართველომ (ამხ. ჟღენტი) ზემოაღნიშნული დადგენილების შესაბამისად უზრუნველყოს მუშა, მოსამსახურე და კოლმეურნე ინვალიდებისათვის მიცემული მოტოეტლების კაპიტალური რემონტის ჩატარება ტექმომსახურების სადგურების მიერ, სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების მიმართვის საფუძველზე.

3. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრომ აანალიზაუროს აღნიშნული მოტოეტლების კაპიტალური რემონტის ღირებულება ტექმომსახურების სადგურების მიერ შესაბამისი ანგარიშების წარდგენის შემდეგ.

4. ეს დადგენილება შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1986 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ჭართველიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1985 წ. 30 დეკემბერი, № 840.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ОБщедел—76187

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 6 1986 წელი

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/VI-86 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/16.
საბეჭდი თაბახი 3, სააღრიცხვო თაბახი 3

შეკვეთა 168 უე 02912 ტირაჟი 1820

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამმართველოს სტამბა

Б-1104

«USS № 0132—4241».